საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 202-03
11/02/2022

2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მეორე მუხლის მე-4 პუნქტის, მეოთხე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 16 ივნისის N7 სხდომაზე დამტკიცებული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის სტატუსის მარეგულირებელი წესის მეხუთე მუხლის საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის 2022 წლის 3 თებერვლის N978-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობა გამოცხადდეს დანართში მითითებულ პროგრამებზე;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის შესახებ სტუდენტთა მიერ განცხადებების დაწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 25 თებერვალი 18:00 საათის ჩათვლით;
3. სტუდენტთა მიერ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2021-2022 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის შიდა მობილობის შესახებ განაცხადი უნდა გაკეთდეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;
4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან საბაკალავრო საფეხურზე გადამსვლელ სტუდენტთათვის განისაზღვროს 50 ვაკანტური ადგილი. ამ რაოდენობაში არ შედის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში ამავე ფაკულტეტის სტუდენტთათვის განსაზღვრული ადგილები;
5. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან საბაკალავრო საფეხურზე გადასვლის მსურველი პირების რეიტინგი დგება ერთიანი ეროვნული გამოცდების სკალირებული ქულების საფუძველზე;
6. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სამაგისტრო საფეხურზე შიდა მობილობა ცხადდება მხოლოდ ამავე ფაკულტეტის სტუდენთთათვის;
7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადოქტორო საფეხურზე შიდა მობილობა ცხადდება მხოლოდ ამავე ფაკულტეტის სტუდენტთათვის;
8. 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წელს ჩარიცხულმა შიდა მობილობის მსურველმა პირებმა, რომლებიც შიდა მობილობას ახორციელებენ იმ პროგრამაზე, რომელიც მესამე ან/და მეოთხე საგნად ითხოვს, იმ საგნისგან განსხვავებული გამოცდის ჩაბარებას, რომლითაც ისინი ჩაირიცხნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, უნდა წარმოადგინონ ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან მიმღებ პროგრამაზე საჭირო მესამე ან/და მეოთხე გამოცდის/გამოცდების წარმატებით ჩაბარების შესახებ გამოცდებში მიღებული ნედლი ქულის მითითებით;
9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურზე, პროგრამა/პროგრამებზე: 1. პოლიტიკის მეცნიერება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 2. სოციოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 3. ფსიქოლოგია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 4. ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 5. თავისუფალი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა); 6. საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა) 2020 და 2021 წლებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე

ჩარიცხულ სტუდენტებს, რომელთაც რომელთაც მესამე, არჩევით საგნად ჩაბარებული აქვთ მხოლოდ მათემატიკა, ან ჩაბარებული აქვთ მათემატიკაც და ისტორიაც, მაგრამ არ აქვთ გადალახული მინ. 25%-იანი ზღვარი ისტორიაში, შეეზღუდოთ ფაკულტეტის შემდეგ პროგრამებზე მობილობის უფლება: 1. ჰუმანიტარული მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები: ანგლისტიკა, გერმანისტიკა, ესპანისტიკა, საფრანგეთისმცოდნეობა, იტალიისმცოდნეობა, სლავისტიკა, აღმოსავლეთმცოდნეობა, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, კინომცოდნეობა, ლიტერატურათმცოდნეობა, ქართული ფილოლოგია) 2. მუსიკა (ძირითადი და დამატებით სპეციალობა); 3. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)

10. იმ შემთხვევაში, თუ შიდა მობილობაში მონაწილეობის მიზნით, 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წლისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხულმა სტუდენტმა მობილობის განხორციელების მიზნით მონაწილეობა მიიღო 2021 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში და მეოთხე საგნად ჩააბარა ისტორია და გადალახა 25%- იანი ზღვარი, შიდა მობილობაში მონაწილეობის მიზნით განაცხადს უნდა დაურთოს ცნობა გამოცდების ეროვნული ცენტრიდან, რომლითაც დადასტურდება მის მიერ გამოცდის ჩაბარების და 25%-იანი მინიმალური ზღვრის გადალახვის ფაქტი;

11. 2020-2021 და 2021-2022 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტებს, რომელთაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული აქვთ ისტორია და გადალახული აქვთ ამ საგანში 25%-იანი ზღვარი, უფლება მიეცეთ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ნებისმიერ პროგრამაზე/მიმართულებაზე განახორციელონ შიდა მობილობა;

12. იმ შემთხვევაში, თუ 2020-2021 და 2021-2022 სასწავლო წელს სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე საბაკალავრო საფეხურზე ჩარიცხულ სტუდენტს ჩაბარებული აქვს მხოლოდ მათემატიკა, უფლება მიეცეს, მობილობა განახორციელოს შემდეგ პროგრამებზე/მიმართულებებზე:

1. თავისუფალი მეცნიერებები (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
2. სოციალური მეცნიერებები: პოლიტიკის მეცნიერება, სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ევროპისმცოდნეობა (ძირითადი და დამატებითი სპეციალობები)
3. ფილოსოფია (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
4. საერთაშორისო ურთიერთობები: ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა)

13. ის სტუდენტები, რომლებიც სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საფეხურზე ჩაირიცხნენ კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, შიდა მობილობაში მონაწილობას მიიღებენ კონკურსგარეშე და არ იქნებიან გათვალისწინებული ვაკანტური ადგილების რაოდენობაში;

14. სამაგისტრო საფეხურზე შიდა მობილობისას დაცული უნდა იქნას ის წინაპირობები, რაც დადგენილია სამაგისტრო პროგრამებზე მიღებისთვის;

15. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე ჩარიცხულ სტუდენტებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სამაგისტრო საფეხურზე შიდა მობილობის უფლება წარმოეშობათ მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი;

16. სადოქტორო საფეხურზე შიდა მობილობისას დაცული უნდა იქნას ის წინაპირობები, რაც დადგენილია სადოქტორო საფეხურზე მიღებისათვის და შესაბამისი დებულება;

17. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს მე-16 პუნქტში მითითებული წინაპირობების დაცვა და შესაბამისი დოკუმენტაციის (მათ შორის დარგობრივი კომისიის ოქმის) წარდგენა უნივერსიტეტის რექტორისთვის შიდა მობილობის შესახებ ბრძანების გამოცემის მიზნით;

18. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს, უზრუნველყოს შიდა მობილობის პროცესის დისტანციურ რეჟიმში, ელექტრონული ფორმით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით განხორციელება (მათ შორის მიღების წინაპირობების დაცვისთვის აუცილებელი გამოცდების ჩატარება); ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში სტუდენტთა დაშვება სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა მოხდეს საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

19. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მილევად პროგრამაზე მობილობის შესაძლებლობას განსაზღვრავს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი და დაუყოვნებლივ აცნობებს მიღებულ გადაწყვეტილებას მობილობის მსურველ პირს, რათა მან სურვილის შემთხვევაში, შეძლოს სხვა ფაკულტეტზე ან პროგრამაზე გადასვლა;

20. შიდა მობილობის შესახებ განცხადებების განხილვისა და შესაბამისი დასკვნების სტუდენტთათვის გაცნობის და მათი მხრიდან დასკვნებზე ხელმოწერის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 11 მარტი;
21. შიდა მობილობის შესახებ შესაბამისი წარდგინების იურიდიული სამსახურისათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 14 მარტი;
22. იმ სტუდენტთა მონაცემები, რომლებიც შიდა მობილობას ახორციელებენ იმ საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რომლის საფასური სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანებით დადგენილ ვადებში მიეწოდოს ინდივიდუალურად;
23. უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის მიერ შიდა მობილობის შესახებ ბრძანების პროექტის მომზადების ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 18 მარტი;
24. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, არგუსსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზაში შიდა მობილობის შედეგების ასახვა შიდა მობილობის შედეგების შესახებ ბრძანების გამოცემიდან 1 დღის ვადაში;
25. შიდა მობილობის პროცესზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვროს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი;
26. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიერ მომზადებული დასკვნებსა და წარმოდგენილ დანართში მითითებულ პროგრამის სახელწოდებების სისწორეზე პასუხისმგებელ პირებად განისაზღვრონ ფაკულტეტის დეკანი და პირი, რომელიც ამზადებს შესაბამის დასკვნას;
27. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანს დაევალოს, ფაკულტეტზე შექმნას ჯგუფი, რომელიც მოახდენს შიდა მობილობის პროცესის უზრუნველყოფას;
28. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის;
29. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს, ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა ,,არგუსი"-ს საშუალებით;
30. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს დაევალოს, უზრუნველყოს შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთა თავსებადობის დასკვნების მიწოდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის, შიდა მობილობის შედეგების ბრძანების გამოცემიდან სამი სამუშაო დღის ვადაში;
31. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს უზრუნველყოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისათვის ყველა შესაძლო საშუალებით;
32. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

გიგა ზედანია

რექტორი